

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები	14
8. . არამატერიალური აქტივები	14
9. . მოკლევადიანი სესხები	14
10. სავაჭრო ვალდებულებები.	14
11. მიმდინარე საგაასახადო ვალდებულებები.	15
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.	15
13. ამონაგები.	15
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.	15
16. კომერციული დანახარჯები.	15
17. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
18. ფინანსური დანახარჯები.	16
19. ფინანსური შემოსავალი.	16
20. დადებითი საკურსო სხვაობა.	16
21. უარყოფითი საკურსო სხვაობა.	16
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

შენიშვნა	12/31/2022	1/1/2022	1/1/2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები 4	1,346,327	960,588	311,913
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 5	236,398	39,990	38,700
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 6	584,066	432,950	621,524
სულ მიმდინარე აქტივები	2,166,791	1,433,528	972,137
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები 7	255,001	430,320	608,713
არამატერიალური აქტივები 8	4,577	5,556	6,534
სულ გრძელვადიანი აქტივები	259,578	435,876	615,247
სულ აქტივები	2,426,369	1,869,404	1,587,384
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი 9	-	-	350,000
სავაჭრო ვალდებულებები 10	61,250	87,388	102,792
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები 11	14,913	21,532	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 12	27,520	22,639	6,739
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	103,683	131,558	530,894
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	1,329	518,131	502,913
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,329	518,131	502,913
სულ ვალდებულებები	105,012	649,689	1,033,807
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი	211,168	211,168	211,168
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2,110,189	1,008,547	342,409
სულ საკუთარი კაპიტალი	2,321,357	1,219,715	553,577
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,426,369	1,869,404	1,587,384

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	13	3,434,199	2,916,781
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(1,107,339)	(1,185,878)
საერთო მოგება		2,326,861	1,730,904
სხვა შემოსავალი	15	-	-
კომერციული დანახარჯები	16	(79,018)	(59,404)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,132,489)	(1,001,812)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკურსო სხვაობა	20	247,968	62,460
ფინანსური შემოსავალი	19	25,434	18,624
უარყოფითი საკურსო სხვაობა	21	(271,405)	(30,781)
ფინანსური დანახარჯები	18	(15,710)	(53,853)
მოგება დაბეგვრამდე		1,101,640	666,138
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,101,640	666,138
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,101,640	666,138

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	211,168	342,409	-	553,577
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	666,138	-	666,138
დივიდენდის განაწილება				-
ნაშთი 1 იანვარი 2022	211,168	1,008,547	-	1,219,715
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,101,640	-	1,101,640
დივიდენდის განაწილება				-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	211,168	2,110,187	-	2,321,355

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

		საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
		2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		3982638	3405976
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-2218102	-1678144
გაცემული შრომის ანაზღაურება		-249477	-189031
გადახდილი გადასახადი		-583536	-462205
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)		-12522	-7604
გადახდილი პროცენტები		22932	-93553
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		941933	975440
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა			
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების დაფარვა/აღება		-441352	-273519
გაცემული დივიდენდი			-24056
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან		-441352	-297575
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-114842	-29189
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		385739	648675
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:		960588	311913
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:		1346327	960588

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „სი-ქეი-ჯი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 20 თებერვალს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404531967, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 36. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

სააქციო საზოგადოება სს პრობუს კაპიტალი, ს/კ 404506245-100%;

კომპანიის დირექტორია თეონა გოდერიძე 01026010035.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ბრენდული ტანსაცმლის საცალო რეალიზაცია. კომპანიას აქვს ორი მაღაზია- ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.1 და თავისუფლების მოედანი #1.

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეოთხე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძაღოვანი მოწყობილობები - 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-10 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2021-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1 EUR=3.5040 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2022	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	20,685	39,907	8,379
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	552,428	485,681	190,570
აშშ დოლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	13,158	212	-
ევროები დოლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	760,056	434,787	112,963
სულ	1,346,327	960,588	311,913

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2022	2021	2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	66,834	39,990	38,072
წინასწარ გადახდილი გადასახადი	169,564	-	628
სულ	236,398	39,990	38,700

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია ბრენდული ტანსაცმლის სახით.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშნა ნაგებობები	ავიჯი	მანქანა- დანადგარები	ელექტროგადამცემის საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა ამორტიზირებადი ძირ.საშ.	სატრანსპორტო საშუალებები	მიგრაციის ძირ.საშ.	სულ
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	665,194	-	-	81,007	197,824	-	-	944,025
შემოსულ			1,601			892	75			2,568
გასვლ										-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	666,796	-	-	81,899	197,898	-	-	946,593
შემოსულ			1,002							1,002
გასვლ										-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	667,798	-	-	81,899	197,898	-	-	947,594
დაგროვილი ცვეთა										
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(242,411)	-	-	(34,833)	(58,068)	-	-	(335,312)
ცვეთის ხარჯი			(147,283)			(2,185)	(31,494)			(180,961)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა										-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	(389,694)	-	-	(37,018)	(89,561)	-	-	(516,273)
ცვეთის ხარჯი			(142,869)			(1,958)	(31,494)			(176,320)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა										-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	(532,563)	-	-	(38,976)	(121,055)	-	-	(692,593)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	422,784	-	-	46,174	139,756	-	-	608,713
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	277,102	-	-	44,881	108,337	-	-	430,320
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	135,235	-	-	42,923	76,843	-	-	255,001

8. . არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.

9. . მოკლევადიანი სესხები

კომპანიას სესხი აღებული აქვს საქართველოს რეზიდენტი კომპანიისაგან რომელიც არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს.

10. სავაჭრო ვალდებულებები.

	2022	2021	2020
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.ვალდებულება	61,250	87,388	102,792
სულ	61,250	87,388	102,792

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის დეკლარაციით წარმოქმნილი გადასახადით, რომლის გადახდის ვალდებულება ჯერ არ დამდგარა.

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.

	2022	2021	2020
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	299	744	745
გადახდელი ხელფასები თანამშრომლებზე	27,221	21,895	5,994
სულ	27,520	22,639	6,739

13. ამონაგები.

კომპანიის ამონაგები შედგება ბრენდული ტანსაცმლის რეალიზაციიდან მიღებული ან/და მისაღები თანხიდან:

	2022	2021
18% დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	3,422,254	2,906,289
0% დღგ-თუ დასაბეგრი ბრუნვა	11,945	10,492
სულ	3,434,199	2,916,781

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებულ საქონელზე გაწეულ დანახარჯებს.

16. კომერციული დანახარჯები.

	2022	2021
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	-
მიწოდების სხვა ხარჯები	79,018	59,404
სულ	79,018	59,404

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ადმინისტრაციული ხარჯები.

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	336,960	277,157
საიჯარო ქირა	470,357	424,829
ელექტროენერგიის ხარჯები	8,508	7,721
საოფისე და საწარმოო ინვენტარის ხარჯი		305
საკანცელარიო ხარჯი	432	384
კომპიუტერის ხარჯები	340	
კომუნიკაციის ხარჯები	3,759	3,747
დაზღვევა	2,404	4,616
საკონსულტაციო ხარჯები	12,000	12,000
ძირითადი საშუალების ცვეთა	177,298	181,939
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	3,777	6,500
საბანკო ხარჯები	53,167	39,563
მივლინების ხარჯი		
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,427	140
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	61,060	42,912
სულ	1,132,489	1,001,812

18. ფინანსური დანახარჯები.

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	14,809	53,686
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	901	166
სულ	15,710	53,853

19. ფინანსური შემოსავალი.

ფინანსური შემოსავალი შედგება კომპანიის საპროცენტო შემოსავლისგან.

20. დადებითი საკურსო სხვაობა.

	2022	2021
საბანკო ანგარიშების	99,556	-
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები		
ვალუტაში აღრიცხული კრედიტორული დავალიანება	148,412	62,460
სულ	247,968	62,460

21. უარყოფითი საკურსო სხვაობა.

	2022	2021
საბანკო ანგარიშების	214,398	30,554
მოკლევადიან სესხი	57,007	228
სულ	271,405	30,782

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

შენიშვნა	12/31/2022	1/1/2022	1/1/2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები 4	1,346,327	960,588	311,913
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 5	236,398	39,990	38,700
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 6	584,066	432,950	621,524
სულ მიმდინარე აქტივები	2,166,791	1,433,528	972,137
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები 7	255,001	430,320	608,713
არამატერიალური აქტივები 8	4,577	5,556	6,534
სულ გრძელვადიანი აქტივები	259,578	435,876	615,247
სულ აქტივები	2,426,369	1,869,404	1,587,384
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი 9	-	-	350,000
სავაჭრო ვალდებულებები 10	61,250	87,388	102,792
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები 11	14,913	21,532	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 12	27,520	22,639	6,739
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	103,683	131,558	530,894
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	1,329	518,131	502,913
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,329	518,131	502,913
სულ ვალდებულებები	105,012	649,689	1,033,807
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი	211,168	211,168	211,168
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2,110,189	1,008,547	342,409
სულ საკუთარი კაპიტალი	2,321,357	1,219,715	553,577
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებ	2,426,369	1,869,404	1,587,384

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი



თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	13	3,434,199	2,916,781
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(1,107,339)	(1,185,878)
საერთო მოგება		2,326,861	1,730,904
სხვა შემოსავალი	15	-	-
კომერციული დანახარჯები	16	(79,018)	(59,404)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,132,489)	(1,001,812)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკურსო სხვაობა	20	247,968	62,460
ფინანსური შემოსავალი	19	25,434	18,624
უარყოფითი საკურსო სხვაობა	21	(271,405)	(30,781)
ფინანსური დანახარჯები	18	(15,710)	(53,853)
მოგება დაბეგვრამდე		1,101,640	666,138
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,101,640	666,138
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,101,640	666,138

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი



თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 და მე-16-ე გვერდის რათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	211,168	342,409	-	553,577
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	666,138	-	666,138
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 1 იანვარი 2022	211,168	1,008,547	-	1,219,715
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,101,640	-	1,101,640
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	211,168	2,110,187	-	2,321,355

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი

თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სი-ქეი-ჯი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი 2022	საანგარიშგებო პერიოდი 2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	3982638	3405976
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2218102	-1678144
გაცემული შრომის ანაზღაურება	-249477	-189031
გადახდილი გადასახადი	-583536	-462205
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	-12522	-7604
გადახდილი პროცენტები	22932	-93553
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	941933	975440
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	-441352	-273519
გაცემული დივიდენდი		-24056
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-441352	-297575
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-114842	-29189
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	385739	648675
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	960588	311913
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1346327	960588


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



თეონა გოდერიძე

მთ. ბუღალტერი



თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.